

၉၈၈၅၅

ჯონ უილიამსი

სტოუნერი

დიდგენის
ბიბლიოთეკა

ჯონ უილიამსი
სტონერი

John Williams
STONER

ინგლისურიდან თარგმნა ნინო თევზაძემ

გარეკანზე: რ. კ. კროუფორდის „მამაკაცის პორტრეტი“ (ფრაგმენტი)

© 1965 by John Williams

All rights reserved.

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2024

ყველა უფლება დაცულია.

ISBN 978-9941-11-788-6

www.diogene.ge

ეს წიგნი ეძღვნება ჩემს მეგობრებსა და ყოფილ კოლეგებს მისურის უნივერსიტეტის ინგლისური ენის კათედრიდან. ისინი უმალ მიხვდებიან, რომ ეს ნაშრომი მხატვრული ლიტერატურაა, რომ არცერთი პერსონაჟი არ განასახიერებს რომელიმე კონკრეტულ ცოცხალ ან გარდაცვლილ ადამიანს და არცერთი მოვლენა არ ასახავს მისურის უნივერსიტეტის რეალობას. იმასაც შეამჩნევენ, რომ თავს უფლება მივეცი, როგორც საგნობრივი, ისე ისტორიული თვალსაზრისით, ისე აღმეწერა ეს უნივერსიტეტი, რომ წიგნში ისიც, ფაქტობრივად, გამოგონილ ადგილად წარმომეჩინა.

უილიამ სტოუნერი მისურის უნივერსიტეტში 1910 წელს, 19 წლისა ჩაირიცხა. რვა წლის შემდეგ, პირველი მსოფლიო ომის ქარცეცხლისას, ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი მოიპოვა და ლექციების კითხვა დაიწყო ამავე უნივერსიტეტში, სადაც სიცოცხლის ბოლომდე – 1956 წლამდე ასწავლიდა. ასისიტენტ-პროფესორზე უფრო მაღალ თანამდებობამდე არ დაწინაურებულა და მხოლოდ იმ რამდენიმე სტუდენტის მეხსიერებასლა შემორჩა, რომლებიც მის კურსს უსმენდნენ. როდესაც გარდაიცვალა, კოლეგებმა მის სახსოვრად უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას შუა საუკუნეების ხელნაწერი გადასცეს. ეს ხელნაწერი შეიძლება, ახლაც მოიძებნოს იშვიათი ნიგნების კოლექციაში, წარწერით: „გადაეცა მისურის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას უილიამ სტოუნერის ხსოვნის პატივსაცემად. ინგლისური ენის კათედრის კოლეგებისგან“.

თუ რომელიმე სტუდენტი შემთხვევით ამ სახელს გადაანყდება, შეიძლება, დაინტერესდეს, ვინ იყო უილიამ სტოუნერი, თუმცა ამაზე შორს იშვიათად წავა. სტოუნერის კოლეგები, რომლებიც მას სიცოცხლეში არ აფასებდნენ, ახლაც იშვიათად საუბრობენ მასზე. უფროსებისთვის მისი სახელი მხოლოდ იმ აღსასრულის შესხენებაა, ყველას რომ ელოდება, ახალგაზრდებისთვის კი ეს მხოლოდ ბგერებია, რომლებიც არაფრით უკავშირდება წარსულსა და პიროვნებას, რომელთანაც საკუთარი თავის ან თავიანთი კარიერის დაკავშირებას შეძლებდნენ.

სტოუნერი 1891 წელს დაიბადა ცენტრალურ მისურისში, სოფელ ბუნვილთან ახლოს მდებარე პატარა ფერმაში, კოლუმბიიდან – მისი უნივერსიტეტიდან – 40 მილის მოშორებით. მიუხედავად იმისა, რომ სტოუნერის დაბადებისას მისი მშობლები ახალგაზრდები იყვნენ – მამა ოცდახუთის, დედა კი ოცისაც არ იქნებოდა, სტოუნერი მათ ყოველთვის, ბავშვობაშიც კი, მოხუცებად აღიქვამდა. 30 წლის მამამისი 50 წლისას ჰგავდა. შრომისაგან მოხრილი უიმედოდ შესცქეროდა უნაყოფო მიწის ნაგლეჯს, რომელიც მის ოჯახს წლიდან წლამდე არჩენდა. დედამისი ცხოვრებას მოთმინებით იტანდა, თითქოს სიცოცხლე ერთი გრძელი წუთი იყო, რომლისთვისაც უნდა გაეძლო. მზერა ჩამქრალი და ბუნდოვანი ჰქონდა, თვალების გარშემო წვრილ ნაოჭებს კი უკან გადაწეული თხელი, ქალარა თმა უფრო თვალში საცემს ხდიდა.

რაც თავი ახსოვდა, უილიამ სტოუნერს ყოველთვის რაღაც მოვალეობები ეკისრებოდა. ექვსი წლისა გაძვალტყავებულ ძროხებს წველიდა, სახლის ახლოს, საღორეში, ღორებს აჭმევდა და გალეული ქათმების კვერცხებს აგროვებდა. მაშინაც კი, როდესაც ფერმიდან რვა მილის მოშორებით სკოლაში დაიწყო სიარული, მთელი დღე, გათენებიდან დაბინდებამდე, სულ რაღაცას აკეთებდა. ჩვიდმეტი წლის ასაკში, მძიმე ჯაფის შედეგად, უკვე მხრებში იყო მოხრილი.

ის იყო ერთადერთი ბავშვი განმარტოებით მცხოვრები ოჯახისა, რომლის ნევრებსაც ერთმანეთთან შრომის აუცილებლობა აკავშირებდა. საღამოობით სამივე ნავთის ლამპით განათებულ პატარა სამზარეულოში ყვითელ ალს მიშტერებული იჯდა. ხშირად, ვახშმიდან დანოლამდე, დაახლოებით ერთი საათის განმავლობაში, მხოლოდ სწორსაზურგიან სკამზე სხეულის ზანტი მოძრაობისა და სახლის სიძველეს დანებებული იატაკის ოდნავი ქრატუნის ხმა ისმოდა.

სახლი უხეშად შეკრული კვადრატის ფორმისა იყო. ვერანდაზე და კართან შეუღებავ ჩაზნექილ ფიცრებს წლების განმავლობაში გამომშრალი მიწის ფერი მიეღო – ნაცრისფერ-ყავისფერი, თეთრი ზოლებით. სახლის ერთ მხარეს იყო ღარიბულად მოწყო-

ბილი გრძელი მისაღები, სწორსაზურგიანი სკამებითა და რამდენიმე ხელნაკეთი მაგიდით, და სამზარეულო, სადაც ოჯახი ერთად ყოფნის მცირე დროის უმეტეს ნაწილს ატარებდა. სახლის მეორე მხარე ორ საძინებელს ეჭირა. ორივეში იდგა რკინის საწოლი, თითო სწორსაზურგიანი სკამი და მაგიდა ლამპითა და პირსაბანით. იატაკები შეუღებავი იყო, უსწორმასწოროდ დაგებული და სიძველის გამო ჭრაჭუნა. სტოუნერის დედა ღრიჭოებიდან ყოველდღე ხვეტდა მტვერს.

სკოლის გაკვეთილები, ფერმის სამუშაოსთან შედარებით, ნაკლებად დამქანცველად მიაჩნდა. 1910 წლის გაზაფხულზე, როდესაც სკოლა დაამთავრა, ელოდა, რომ მინდორში მეტ საქმეს დაავალბდნენ, რადგან ყოველთვიურად მამამისის მოძრაობა – უფრო ნელი, ხოლო თავად მამა – უფრო დასუსტებული ეჩვენებოდა, მაგრამ ერთ საღამოს, გვიან გაზაფხულზე, მას შემდეგ, რაც მამა-შვილმა მთელი დღე ყანის თოხნაში გაატარა, მერე კი ვახშმის ჭურჭელიც აალაგეს, მამამ სტოუნერს უთხრა:

– წინა კვირას მუნიციპალიტეტის აგენტი იყო მოსული.

უილიამმა სამზარეულოს მაგიდის წითელ-თეთრ, უჯრულა გადასაფარებელს თვალი მოსწყვიტა და ახედა. ხმა არ ამოუღია.

– ამბობს, რომ ახალი სკოლა აქვთ კოლუმბიაში, უნივერსიტეტში. სოფლის მეურნეობის კოლეჯს ეძახიან. ფიქრობს, რომ უნდა ნახვიდე. ოთხი წელი დაგჭირდება.

– ოთხი წელი, – თქვა უილიამმა, – ფასიანია?

– შეგიძლია, იმუშაო და ბინის ქირა ისე გადაიხადო, – უთხრა მამამ, – კოლუმბიის შორიახლოს დედაშენის ალალი ბიძაშვილი ცხოვრობს. წიგნები და ასეთი რალაცებიც დაგჭირდება. შემიძლია, თვეში ორი-სამი დოლარი გამოგიგზავნო ხოლმე.

უილიამმა ხელები მაგიდის გადასაფარებელზე დაანყო, რომელზეც უღიმღამოდ ირეკლებოდა ლამპის შუქი. სახლიდან ბუნვილზე შორს არასდროს წასულა, ბუნვილი კი მხოლოდ 15 მილის მოშორებით იყო.

– ფიქრობ, რომ აქაურობას მარტო გაუძღვები?

– მე და დედაშენი რაღაცას მოვახერხებთ. ზემოთ, ოც აკრზე, ხორბალი რომ დავთესო, ხელით შრომას შემიმძირებს.

უილიამმა დედას შეხედა.

– დე...

დედამ ულონოდ უპასუხა:

– ის გააკეთე, რასაც მამაშენი გეუბნება.

– მართლა გინდა, რომ წავიდე? – ისე იკითხა, თითქოს უარის იმედი ჰქონდა. – ნამდვილად გინდა?

მამა უფრო მოხერხებულად მოეწყო სკამზე. თავის მსხვილ, დაკოჭრილ თითებს დახედა. ნახეთქებში მინა ისე ღრმად ჩასჯდომოდა, დაბანა ველარაფერს შველიდა. თითები ერთმანეთს გადააჭედო და ხელები მაგიდიდან ასწია, თითქოს ლოცვას აპირებო.

– სათქმელად რომ ღირდეს, ისეთი განათლება მე არასდროს არ მიმიღია,¹ – განაგრძო საკუთარ ხელებს მიჩერებულმა, – მეექვსე კლასი რომ დავამთავრე, ფერმაში დავინწყე მუშაობა. სანამ პატარა ვიყავი, სკოლას გული ვერ დავუდე, მაგრამ ახლა არ ვიცი... თითქოს მინა წლიდან წლამდე უფრო მშრალი და ძნელად დასამორჩილებელი ხდება, ისეთი მდიდარი აღარ არის, როგორც ჩემს ახალგაზრდობაში იყო. მუნიციპალიტეტის აგენტი ამბობს, რომ ახალი იდეები აქვთ და უნივერსიტეტში რაღაცების გაკეთების გზებს გასწავლიან. იქნებ მართალია. ხანდახან, როცა მინდორში ვმუშაობ, ვფიქრობ... – ნუთით დადუმდა. თითები ერთმანეთს უფრო მოუჭირა და ხელები მაგიდაზე დაუშვა, – ვფიქრობ ხოლმე... – ხელებს შეუბღვირა და თავი გააქნია, – შემოდგომაზე უნივერსიტეტში წახვალ. მე და დედაშენი რაღაცას მოვახერხებთ.

ეს იყო ყველაზე გრძელი სათქმელი, რომელიც სტოუნერს მამამისისგან მოესმინა. იმ შემოდგომაზე კოლუმბიაში გაემგზავრა და უნივერსიტეტში, სასოფლო-სამეურნეო კოლეჯში, პირველ კურსზე ჩაირიცხა.

¹ სამხრეთული დიალექტისთვის ბუნებრივია ორმაგი უარყოფის ხშირი გამოყენება (რედ. შენიშვნ.).

კოლუმბიაში დედამისის ქათმების კვერცხის ფულით ნაყიდი Sears & Roebuck-ის კატალოგიდან გამოწერილი მაუდის ახალი პიჯაკით, მამამისის ნახმარი პალტოთი, ლურჯი სარჯის შარვლით (თვეში ერთხელ მეთოდისტების ეკლესიაში რომ ეცვა ხოლმე ბუნვილში), ორი თეთრი პერანგით, ორი ხელი სამუშაო ტანსაცმლითა და მამამისის მიერ ხორბლის საშემოდგომო მოსავლის იმედად მეზობლისგან ნასესხები 25 დოლარით ჩავიდა. ბუნვილიდან, სადაც დილაადრიან მამამ და დედამ ჯორშებმული ოთხთვალათი მიიყვანეს, გზას ფეხით გაუყვა.

შემოდგომის ცხელი დღე იყო და ბუნვილიდან კოლუმბიამდე გზას მტვრის ბული ასდიოდა. თითქმის ერთი საათი მიდიოდა, სანამ სატიერთო ფურგონი არ წამოენია და მძღოლმა ნაყვანა არ შესთავაზა. სტოუნერმა თავი დაუქნია და ფურგონში ჩაჯდა. სარჯის შარვალი მუხლებამდე წითელ მტვერში ამოგანგლოდა, გარუჯულ და ქარდაკრულ სახეზე გზის მტვერი ოფლს შერეოდა. ხანგრძლივი მგზავრობისას შარვალს ხელების მოუქნელი მოძრაობით იფერთხავდა და თითებს ქვიშიან, სწორ თმაზე ისვამდა, რომელსაც ვერა და ვერ იტკეპნიდა.

კოლუმბიას ნაშუადღევს მიაღწიეს. მძღოლმა სტოუნერი ქალაქის განაპირას ჩამოსვა და შენობების მწკრივზე მიანიშნა, რომელსაც მაღალი თელების ჩრდილი დასწოლოდა.

– ეს არის შენი უნივერსიტეტი, – უთხრა, – აქ ივლი კოლეჯში.

ფურგონიდან ჩამოსვლის შემდეგ რამდენიმე წუთი სტოუნერი გაუნძრევლად იდგა და შენობების კომპლექსს მიშტერებოდა. აქამდე ასეთი შთამბეჭდავი არაფერი ენახა. წითელი აგურის შენობები ვრცელი მინდვრიდან ამოზიდულიყო. მინდორი ბალის პატარ-პატარა მონაკვეთებს შორის გამავალი ქვის ბილიკებით იყო დაქსაქსული. მონინების გარდა, უსაფრთხოებისა და სიმშვიდის მოულოდნელი შეგრძნება დაეუფლა, რაც მანამდე არასდროს განეცადა. იმის მიუხედავად, რომ გვიანი იყო, დიდხანს უარა გარშემო უნივერსიტეტის ეზოს. ათვალეირებდა, თითქოს შესვლის უფლება არ ჰქონდა.

უკვე თითქმის ღამდებოდა, როდესაც გამვლელებს ეშლანდ გრაველისკენ მიმავალი გზა ჰკითხა, რომელიც დედამისის ბიძაშვილის, ჯიმ ფუტის, ფერმამდე მიიყვანდა. სწორედ იქ უნდა ეშუშავა. უკვე ბნელოდა, როცა ორსართულიან თეთრ სახლს მიადგა, სადაც უნდა ეცხოვრა. ფუტები მანამდე არასდროს ენახა და მათთან ასე გვიან მისვლა ერიდებოდა.

თავის დაკვრით მიესალმნენ და კარგად შეათვალიერეს. სტოუნერი ერთხანს უხერხულად იდგა შემოსასვლელში. მერე ჯიმ ფუტმა პატარა მისაღებისკენ ანიშნა, რომელიც რბილი ავეჯითა და ოდნავ განათებული, ხარახურით სავსე მაგიდებით იყო გამოტენილი. არ დამჯდარა.

– ისადილე? – ჰკითხა ფუტმა.

– არა, სერ, – უპასუხა სტოუნერმა.

მისის ფუტმა საჩვენებელი თითი მოხარა და თავისკენ უხმო. სტოუნერი გაჰყვა. რამდენიმე ოთახი გაიარეს და სამზარეულოში შევიდნენ. ქალმა ანიშნა, მაგიდასთან დაჯექიო და წინ რძის ბოთლი და პურის რამდენიმე ნაჭერი დაუწყო. სტოუნერმა რძე მოსვა, მაგრამ ნერვიულობისგან პირი ისე ჰქონდა გამშრალი, პური ვერ მოკბიჩა.

ოთახში ფუტი შემოვიდა და ცოლს გვერდით დაუდგა. ტანმორჩილი კაცი იყო, ხუთ ფუტსა და სამ ინჩზე მაღალი არ იქნებოდა. გამხდარი სახე და წვეტიანი ცხვირი ჰქონდა. ცოლი ოთხი ინჩით მაღალი იყო. თვალებს უჩარჩოო სათვალე უფარავდა. თხელი ტუჩები მოეკუმა. ორივე ხარბად შესცქეროდა, სანამ სტოუნერი რძეს სვამდა.

– დილით საქონელს და ღორებს აჭამე, – სწრაფად თქვა ფუტმა. სტოუნერმა ისე შეხედა, გამომეტყველება არ შესცვლია:

– ბატონო?

– დილაობით ეგ გევალება, – განაგრძო ფუტმა, – სანამ სკოლაში წახვალ. საღამოობით ისევ აჭმევ, კვერცხებს მოაგროვებ, ძროხებს მოწველი. როცა დრო გექნება, შეშას დაჩეხ, შაბათ-კვირას კი მე მომეხმარები.

– დიახ, სერ, – მიუგო სტოუნერმა.

ფუტი ცოტა ხანს აკვირდებოდა.

– კოლეჯი, – თქვა მერე და თავი გააქნია.

ცხრა თვის მანძილზე, ღამის გასათევი რომ ჰქონოდა, სტოუნერი აჭმევდა საქონელს, ღორებს, აგროვებდა კვერცხს, წველიდა ძროხებს და ჩეხდა შემას. ასევე, ხნავდა და ფარცხავდა მინდვრებს, ძირკვავდა კუნძებს (ზამთარში გაყინულ მიწაში სამი ინჩის სიღრმეზე ჩადიოდა) და დღევბდა კარაქს მისის ფუტისთვის, რომელიც კმაცოფილების ნიშნად თავს აქნევდა და უყურებდა, სანამ სტოუნერი რძეში ხის სადღვებს ურევდა.

სტოუნერი ზედა სართულზე დაბინავდა, რომელსაც ოდესღაც სანყოზად იყენებდნენ. ოთახში ღარიბული ავეჯი იდგა: შავი რკინის მორყეული სანოლი ბუმბულის თხელი ლეიბით, გატეხილი მაგიდა ნავთის ლამპით, სწორსაზურგიანი სკამი, რომელიც უსწორმასწორო იატაკზე ისე იდგა, აყირავებულს ჰგავდა და დიდი ყუთი, რომელსაც სანერ მაგიდად ხმარობდა. ზამთარში მხოლოდ ქვედა სართულიდან ამოპარული სითბოს ამარა იყო. გაცრეცილ საბანში ეხვეოდა და ხელებს იორთქლავდა, რომ გაყინული თითებით ნიგნის გადაშლისას ფურცლები არ გაეხია.

უნივერსიტეტში თავის საქმეს ისევე აკეთებდა, როგორც ფერმაში – გულმოდგინედ, არც სიამოვნებით და არც იძულებით. პირველი წლის ბოლოს საშუალო ნიშანი ოთხიანზე ოდნავ დაბალი გამოუვიდა. კმაცოფილი იყო, რომ უფრო დაბალი ქულა არ გამოჰყვა და გული არ დასწყევტია, რომ უფრო მაღალი ვერ მიიღო. იცოდა, რომ ისეთი რამ ისწავლა, რაც ადრე არ იცოდა, თუმცა ეს მისთვის მხოლოდ იმას ნიშნავდა, რომ მეორე წელსაც ასევე გააგრძელებდა.

კოლეჯის სწავლის პირველი წლის შემდეგ, ზაფხულში, მამის ფერმაში დაბრუნდა და მოსავლის აღებაში მიეხმარა. ერთხელ მამამ ჰკითხა, როგორ მოგწონს სასწავლებელიო. სტოუნერმა უპასუხა, მომწონსო. მამამ თავი დაუქნია და ეს საკითხი აღარ უხსენებია.

სანამ მეორე კურსზე არ დაბრუნდა, სტოუნერი ვერ ხვდებოდა, კოლეჯში რატომ ჩააბარა.

მეორე წელს უნივერსიტეტში უკვე იცნობდნენ. ყველა სეზონზე ერთი და იგივე მაუდის პიჯაკი ეცვა, თეთრი პერანგითა და წვრილი ჰალსტუხით. პიჯაკის სახელოებიდან მაჯები მოუჩანდა, შარვალი კი სხეულზე ისე უხერხულად ეკიდა, თითქოს ვიღაცის გამონაცვალის უნიფორმა ეცვა.

სამუშაო საათები თავისი დამქირავებლის უქნარობის შესაბამისად ემატებოდა. გრძელ საღამოებს თავის ოთახში, საშინაო დავალების წერაში ატარებდა. გულმოდგინედ სწავლობდა, რათა სასოფლო-სამეურნეო კოლეჯში ბაკალავრის ხარისხი მიეღო. მეორე კურსის პირველ სემესტრში ორი ძირითადი საგანი ჰქონდა არჩეული: ნიადაგის ქიმიის კურსი სამეურნეო დარგიდან და საგანი, რომლის ფორმალურად გავლაც უნივერსიტეტის ყველა სტუდენტს ევალებოდა – ინგლისური ლიტერატურის ერთსემესტრიანი მიმოხილვა.

პირველი რამდენიმე კვირის შემდეგ სამეცნიერო კურსები აღარ გასჭირვებია. იმდენი რამ იყო გასაკეთებელი, იმდენი რამ – დასამახსოვრებელი! ნიადაგის ქიმიის კურსმა დააინტერესა. აზრადაც არ მოსვლია, რომ ყავისფერი მინის ბელტების მიღმა, რომლებთანაც მთელი ცხოვრება ჰქონდა საქმე, უფრო მეტი რაღაც იყო, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანდა და თანდათან დაინყო გაანალიზება, რომ ამის ცოდნა შეიძლებოდა, გამოსდგომოდა, როდესაც მამის ფერმაში დაბრუნდებოდა. აი, სავალდებულო საგანი კი – ინგლისური ლიტერატურის მიმოხილვა – ისე აფიქრებდა და ანერვიულებდა, ასე ცხოვრებაში არასდროს არაფერს აუღელვებია.

ლექტორი შუახნის კაცი იყო, ორმოცდაათ წელს გადაცილებული. არჩერ სლოუნი ერქვა და სწავლების საკითხს მოჩვენებითი გულგრილობითა და კმაყოფილებით უდგებოდა, თითქოს თავის ცოდნასა და სათქმელს შორის იმხელა ნაპრალს ხედავდა, მისი ამოვსების ცდაც კი უაზრობად მიაჩნდა. სტუდენტების უმეტესობას მისი ეშინოდა და არ მოსწონდათ, ის კი მათ ცივი, ირონიული მხიარულებით პასუხობდა. საშუალო სიმაღლის კაცი იყო, გრძელი, დაღარული, სუფთად გაპარსული სახით. ქალარა ხვეული

თმის ხელით წვალება სჩვეოდა. ლაპარაკობდა ერთი და იმავე ტონალობით, უემოციოდ. მისი ძლივს მოძრავი ტუჩებიდან გამომსახველობასა და ინტონაციას მოკლებული ხმა ისმოდა, მაგრამ, სამაგიეროდ, გრძელ, თხელ თითებს ისე დახვეწილად და დამაჯერებლად ამოძრავებდა, თითქოს სიტყვებს იმ ფორმას სძენდა, რომლის ხორცმესხმის უნარი მის ხმას არ გააჩნდა.

როდესაც აუდიტორიას მოშორებული ფერმაში მუშაობდა ან სხვენში, თავის უფანჯრო ოთახში მეცადინეობისას მბუჟტავ ლამპას აშტერდებოდა, სტოუნერი ხშირად ამჩნევდა, რომ ამ კაცის სახე ახსენდებოდა. სხვა ლექტორებისა თუ სტუდენტების სახეების ან თავისი ჯგუფიდან რაიმე კონკრეტულის გახსენება უჭირდა, სამაგიეროდ, ცნობიერებაში ყოველთვის ელოდა არჩერ სლოუნი და მისი დამცინავად იმპროვიზებული ფრაზები ბეოვულფის ამა თუ იმ პასაჟსა თუ ჩოსერის რომელიმე ტაეპზე.

აღმოაჩინა, რომ ინგლისური ლიტერატურის მიმოხილვას ისე კარგად ვერ ართმევდა თავს, როგორც სხვა საგნებს. იმის მიუხედავად, რომ ახსოვდა ავტორები, მათი ნაშრომები, თარიღები და მათი მნიშვნელობა, პირველ გამოცემაში კინალამ ჩაიჭრა, შემდეგი კი ოდნავ უკეთ ჩააბარა. ლიტერატურის დავალებებს კითხულობდა და კითხულობდა, ისე ხშირად, რომ ამ შრომამ სხვა საგნების დრო წაართვა და დააზარალა. და მაინც – ის სიტყვები, რომლებსაც კითხულობდა, მხოლოდ ნიგნის ფურცლებზე დაწერილ სიტყვებად რჩებოდა, სტოუნერი კი საკუთარი თავდადების აზრს ვერ ხედავდა.

და ის არჩერ სლოუნის მიერ აუდიტორიაში წარმოთქმულ სიტყვებზე ფიქრს იწყებდა, თითქოს მათი დახვეწილი და მშრალი შინაარსის მიღმა შეიძლებოდა, აღმოეჩინა მინიშნება, რომელიც სანუკვარ ადგილამდე მიიყვანდა. ისეთ პატარა სკამზე იჯდა, ძლივს ეტეოდა და მერხზე დახრილი მის კიდეებს ისე ეჭიდებოდა, გაუხეშებული ყავისფერი კანი თითის სახსრებთან უთეთრდებოდა. ქვედა ტუჩს შეწუხებული სახით იკვნეტდა. თუმცა რაც უფრო მეტ ყურადღებას ავლენდნენ სტოუნერი და მისი ჯგუფელები, მით უფრო დაუძლეველი ხდებოდა არჩერ სლოუნის ზიზღი. ერთხელაც ეს

ზიზლი მრისხანებაში გადაიზარდა და სწორედ უილიამ სტოუნერს დაატყდა თავს.

აუდიტორიაში შექსპირის ორი პიესა წაიკითხეს. კვირას სონეტების შესწავლით ამთავრებდნენ. სტუდენტები განერვიულებული და დაბნეული იყვნენ, შეშინებულნი იმ დაძაბულობით, რომელიც მათსა და კათედრიდან მომზირალ პიროვნებას შორის იგრძნობოდა. სლოუნმა მათ ხმამაღლა წაუკითხა 73-ე სონეტი, დარბაზს თვალი მოავლო და მოკუმული ბაგით დამცინავად გაიღიმა.

– რას გულისხმობს ეს სონეტი? – იკითხა უეცრად და დადუმდა. აუდიტორიას მოლუშული შესცქეროდა, თითქმის კმაყოფილი უიმედობით. – მისტერ უილბურ! – ყველა დუმდა. – მისტერ შმიტ! – ვილაცამ ჩაახველა.

სლოუნმა მუქი, მოელვარე თვალები სტოუნერს მიაპყრო:

– მისტერ სტოუნერ, რას გულისხმობს ეს სონეტი?

სტოუნერმა ნერწყვი გადაყლაპა და პირის გაღება სცადა.

– ეს სონეტია, მისტერ სტოუნერ, – ცივად განაგრძო სლოუნმა, – გარკვეული ფორმის თოთხმეტსტრიქონიანი პოეტური კომპოზიცია, რომელიც, დარწმუნებული ვარ, ნასწავლი გექნებათ. ინგლისურ ენაზეა დაწერილი, რომელიც, ვფიქრობ, რამდენიმე წელია, იცით. ავტორი უილიამ შექსპირია – პოეტი, რომელიც მკვდარია, მაგრამ, ამის მიუხედავად, ვილაცების გონებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს.

წუთით სტოუნერს შეხედა, შემდეგ უმეტყველო მზერა კლასის მიღმა გადაიტანა, თვალი გაუშტერდა და წიგნში ჩახედვის გარეშე დაიწყო სონეტის გამეორება. ტონი შეურბილდა და დაუმშვიდდა; თითქოს წუთით თავად იქცა სიტყვებად, ხმებად და რითმებად:

„შენ ჩემში უკვე შემოდგომის სიშიშვლეს ხედავ:

რტოებს სიყვითლეს ფოთლებისა შემოსძარცვია,

ფრინველთ გალობა შეუცვლია გოდებას ხეთა

და ტყეს სამოსი არასოდეს თითქოს არ სცმია.

შენ ჩემში ხედავ წარსულ დღეებს მიმწუხრიანებს,

მენამულ სხივებს დასავლეთის ცაზე მოფენილს,
ქრება ნათელი, შუალამე ავად ხრიალებს
და მოუსავლეთს ემგვანება წუთისოფელი.
ვიცი, რომ უკვე მიმქრალ კოცონს მადარებ გულში,
ლადარი დღეებს დაუნაცრავთ, ცხარე ცრემლიანთ,
და რაც სინაზით ძიძაობდა სიცოცხლეს გუმინ,
ახლა მისივე სასიკვდილო სარეცელია.
რაც უფრო ამჩნევ, სააქაოს თითქმის არღა ვარ,
მით უფრო მეტრფი, ვით განწირულს დასამარხავად.“²

წუთიერ სიჩუმეში ვილაცამ ჩაახველა. სლოუნმა სტრიქონები გაიმეორა, ოღონდ ამჯერად საკუთარი, უემოციო ხმით:

„რაც უფრო ამჩნევ, სააქაოს თითქმის არღა ვარ,
მით უფრო მეტრფი, ვით განწირულს დასამარხავად.“

მერე სტოუნერს მიუბრუნდა და ცივად მიმართა:

– მისტერ შექსპირი სამასი წლის სიშორიდან გესაუბრებათ, მისტერ სტოუნერ. გესმით მისი?

უილიამ სტოუნერი მიხვდა, რომ რამდენიმე წუთის განმავლობაში სუნთქვას იკავებდა. მან ჰაერის ნაკადი ნაზად ამოუშვა და წუთით იგრძნო, ფილტვების გათავისუფლებისას როგორ შეირხა მის სხეულზე ტანსაცმელი. სლოუნს თვალი მოაშორა და ოთახში მიმოიხედა. ფანჯრიდან შუქი იღვრებოდა და მისი თანაკურსელების სახეებზე ნაწილდებოდა, თითქოს სინათლე მათგან ამოდინოდა და სიბნელეს უპირისპირდებოდა. ერთმა სტუდენტმა თვალელები დაახამხამა და ლოყაზე წვრილი ჩრდილი აუთამამადა, რომლის ქვემოთ ისევ მზის შუქი ირეკლებოდა. სტოუნერმა იგრძნო, როგორ მოეშვა მერხის კიდეებზე მოჭერილი მისი თითები. ხელებზე დაიხედა და გაოცებული დააკვირდა მრემ კანსა და თითების გლუვ ბო-

² თარგმანი რეზო თაბუკაშვილისა.

ლოებამდე წამოზრდილ ფრჩხილებს. თითქოს გრძნობდა, როგორ ფეთქავდა სისხლი ვენებსა და არტერიებში, როგორ მიედინებოდა ნაზად და თავისუფლად თითებიდან მთელ სხეულში.

სლოუნი კვლავ ალაპარაკდა:

– რას გეუბნებათ, მისტერ სტოუნერ? რას გულისხმობს ეს სონეტი?

სტოუნერმა ზანტად და უხალისოდ ამოიხედა.

– იგი გულისხმობს... – თქვა და ხელები ოდნავ ასწია. თვალებით არჩერ სლოუნის ფიგურას ეძებდა, – იგი გულისხმობს... – გაიმეორა და სათქმელი ვერ დაამთავრა.

სლოუნმა ინტერესით შეათვალიერა, შემდეგ მოულოდნელად თავი დააქნია და თქვა:

– თავისუფლები ხართ.

ოთახიდან ისე გავიდა, არავისთვის შეუხედავს.

უილიამ სტოუნერი ვერ ამჩნევდა სტუდენტებს, რომლებიც მის გარშემო ბუზღუნითა და ბუტბუტით დგებოდნენ და ოთახიდან გადიოდნენ. მათი ნასვლის შემდეგ რამდენიმე წუთი გაუნძრევლად იჯდა, პარკეტის ვინრო ნაჭრებს მიშტერებული, რომლებიც იმ სტუდენტებს გაეცვითათ, ვერასდროს რომ ვერ ნახავდა და გაიცნობდა. ფეხები იატაკზე გააცურა და ქუსლებზე მშრალი ხის ზედაპირის შეხება შეიგრძნო, რომლის სიუხეზე ფეხსაცმლის ტყავშიც კი ატანდა. მერე თვითონაც ადგა და ოთახიდან გავიდა.

გვიანი შემოდგომის სუსხმა ტანში დაუარა. გარშემო მიმოიხედა და თვალი შეავლო ხეების შიშველ, ფერდაკარგული ცისკენ აზიდულ და დაკლაკნილ ტოტებს. გზადაგზა მსუბუქად ეჯახებოდნენ სტუდენტები, რომლებსაც ლექციებზე მიეჩქარებოდათ. ესმოდა მათი ბუტბუტი, ქვის ბილიკებზე ქუსლების კაკუნი, ხედავდა სიცივისაგან აწითლებულ, დახრილ სახეებს და ისეთი ინტერესით უყურებდა, თითქოს აქამდე ისინი არასდროს ენახა. უეცრად ერთდროულად იგრძნო მათგან მეტისმეტად სიშორე და განსაკუთრებული სიახლოვე. აუდიტორიისკენ აჩქარებით მიმავალს ეს გრძნობა თან გაჰყვა და ვერც მაშინ მოიშორა, როცა ნიადაგის ქიმიის

ლექციაზე, ლექტორის ხმის ფონზე რვეულში იწერდა რალაცებს, მერე რომ დაეზუთხა და მისთვის უცხო აღარ ყოფილიყო.

იმ წლის მეორე სემესტრში უილიამ სტოუნენმა ძირითადი სამეცნიერო კურსები მიატოვა და სამეურნეო სკოლის პროგრამის სწავლა შეწყვიტა. სამაგიეროდ, აიღო ფილოსოფიის შესავლისა და ანტიკური ისტორიის კურსები, ასევე - ინგლისური ლიტერატურის ორი კურსი. ზაფხულში ისევ მშობლების ფერმაში დაბრუნდა, მამამისს მოსავლის აღებაში დაეხმარა და უნივერსიტეტი არც უხსენებია.

დიდი ხნის მერე ისე იგონებდა ბაკალავრიატის ბოლო ორ წელს, თითქოს ისინი არც ყოფილა, თითქოს სხვა ადამიანს ეკუთვნოდა დრო, რომელიც იმ წესით კი არ გადიოდა, რომელსაც თავად იყო მიჩვეული, არამედ ნაწყვეტ-ნაწყვეტ. ერთი მოვლენა მეორეს მისდევდა და, ამავე დროს, მას თითქოს არ უკავშირდებოდა. გაუჩნდა შეგრძნება, რომ დროს მოსწყდა და მის დინებას ისე უმზერდა, როგორც უზარმაზარ, არათანაბრად მბრუნავ დიორამას.

ისე ჩასწვდა საკუთარ თავს, როგორც არასდროს. ხანდახან სარკეში უყურებდა თავის ანარეკლს - გრძელ სახეს, ხშირ ყავისფერ თმას და გამოკვეთილ ყვრიმალეებს ხელით ისინჯავდა. ხედავდა წვრილ მაჯებს, რომლებიც ქურთუკის სახელოებიდან გამოსჩროდა და ფიქრობდა, ისეთივე სასაცილო თუ ჩანდა სხვების თვალში, როგორადაც თვითონ თვლიდა თავს.

არავითარი სამომავლო გეგმა არ გააჩნდა და საკუთარი თავის მიმართ ურწმუნობაზეც არავის ელაპარაკებოდა. თავზე ჭერი რომ ჰქონოდა, ისევ ფუტებთან მუშაობდა, მაგრამ ისეთი ხანგრძლივი სამუშაო დრო აღარ ჰქონდა, როგორც უნივერსიტეტში სწავლის პირველი ორი წლის განმავლობაში. ჯიმსა და სირენას უფლებას აძლევდა, ყოველ შუადღეს სამი საათის განმავლობაში, შაბათ-კვირას კი - ნახევარი დღე ის დაევალებინათ, რაც მოეგუწებებოდათ, დანარჩენ დროს კი საკუთარ თავს უთმობდა.

დროის ამ ნაწილს პატარა ოთახში, ფუტების სხვენში, ატარებდა, მაგრამ როდესაც ლექციებსა და ფუტების საქმეს მოილევა, თუ ახერხებდა, ისევ უნივერსიტეტში ბრუნდებოდა. ხანდახან, სა-

ლამოობით, ოთხკუთხა ეზოში წყვილებს შორის დასეირნობდა, რომლებიც ერთმანეთს ჩუმად ემუსაიფებოდნენ. მიუხედავად იმის, რომ არ იცნობდა, მათთან თითქოს ნათესაურ კავშირს გრძნობდა. ხანდახან ეზოს შუაგულში დადგებოდა და შეჰყურებდა ჯესი ჰოლის წინ აღმართულ ხუთ სვეტს, რომლებიც გრილი ბალახიდან ცისკენ აზიდულიყო. შეიტყო, რომ ეს უნივერსიტეტის პირველი შენობის ნანგრევები იყო, რომელიც დიდი ხნის წინ ხანძარს გაენადგურებინა. მთვარის შუქზე მოვერცხლისფრო-მონაცრისფრო სადა სვეტები მისთვის თითქოს იმ ცხოვრების წესს განასახიერებდა, რომელიც აერჩია, ზუსტად ისე, როგორც ტაძარი განასახიერებს ღმერთს.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში ათასობით წიგნით დატვირთულ თაროებს შორის დადიოდა და, როგორც გუნდრუკს, ისე ისუნთქავდა ტყავის, ნაჭრისა და შრობადაწყებული გვერდების ნესტიან სურნელს. ხანდახან გაჩერდებოდა, თაროდან ამა თუ იმ ტომს გადმოიღებდა და წუთით მოიქცევდა დიდ ხელებში, რომლებიც წიგნის ყუის, სქელი მუყაოსა და დამყოლი გვერდის შეხებისას უცხო შეგრძნებით უთრთოდა. შემდეგ წიგნს გადაფურცლავდა და აქა-იქ აზზაცს გადაიკითხავდა. გახევებული თითებით ფრთხილად შლიდა, თითქოს ეშინოდა, თავისი მოუქნელობით არ გაეხია და გაენადგურებინა ის, რის პოვნასაც ამდენი წვალეზა დასჭირდა.

მეგობრები არ ჰყავდა და პირველად გააცნობიერა, რა იყო მარტოობა. ხანდახან, ღამით, სხვენის ოთახში კითხვისას წიგნიდან თავს ასწევდა ხოლმე და ოთახის ბნელ კუთხეებს გახედავდა, სადაც ღამის ათინათი უცნაურ ჩრდილებს ხატავდა. თუ დიდხანს და დაჟინებით მიაშტერდებოდა, სიბნელე სინათლედ იქცეოდა, ნაკითხულის აბსტრაქტულ ფორმას იღებდა და ეჩვენებოდა, თითქოს დროს შორდებოდა, ისევე, როგორც იმ დღეს, როდესაც ლექციაზე არჩერ სლოუნი გამოელაპარაკა. წარსული სიბნელეს გამოეყო, მის წინაშე მიცვალებულები აღდგნენ და წარსულმა და მიცვალებულებმა ანმყოში, ცოცხლებს შორის იმგვარად გაიკაფეს გზა, რომ სტოუნერმა წამიერად და მძაფრად შეიგრძნო ის სიმჭიდროვე, რომელშიც თავად იყო მოქცეული და რომელსაც ვერც გაექცეოდა და